ც ნ ო ბ ა

ადმინისტრაციული წარმოების შესახებ

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში - „საქპატენტში“ (შემდგომ - საქპატენტი) (მის.: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქუჩა №5) მიმდინარეობს ადმინისტრაციული წარმოება ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის – „ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის“ 2024 წლის 22 აგვისტოს N-OUT-220824-01 განცხადების საფუძველზე, რომლითაც მოთხოვნილია „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტითა და 51-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული ჰონორარის ოდენობის, მისი გამოანგარიშებისა და გადახდის წესის განსაზღვრა, პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტიორსა და ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაციას შორის შეუთანხმებლობის გამო „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე.

ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის – „ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციის მოთხოვნებს წარმოადგენს:

- კომისიის მიერ განისაზღვროს პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტიორებისათვის გადასახდელი ჰონორარის ოდენობა - 6% დანართი №15-ით განსაზღვრული მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების მიმართ *(თან ერთვის ცნობას).*
- იმპორტიორების მიერ ჰონორარის გადახდის პერიოდულობა განისაზღვროს ყოველთვიური გადახდის ფორმით;

- გადახდის ვალდებულება იმპორტიორებისთვის გავრცელდეს 2024 წლის 1 იანვრიდან იმპორტირებულ პროდუქციაზე;
- დაევალოს იმპორტიორებს უზრუნველყონ ა(ა)იპ ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველ ორგანიზაცია - ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაციასთან (ს/კ 404574475) ,,პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების იმპორტიორების მიერ ჰონორარის გადახდის თაობაზე" ხელშეკრულების დადება.

განცხადება განიხილება საქპატენტის თავმჯდომარის 2023 წლის 23 ოქტომბრის № 358 ბრძანებით განსაზღვრული კომისიის მიერ „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-7 პუნქტით დადგენილი წესით.

ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2024 წლის 22 აგვისტო. კომისიის მიერ განცხადების განხილვის ვადა შეადგენს განცხადების მიღებიდან 3 თვეს. საკითხის სირთულის გათვალისწინებით, კომისიამ შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება ერთჯერადად, არაუმეტეს 6 თვისა გააგრძელოს აღნიშნული ვადა.

დაინტერესებულ პირებს განსახილველ საკითხთან დაკავშირებით მოსაზრების წარდგენა შეუძლიათ ადმინისტრაციული წარმოების შესახებ ცნობის გამოქვეყნებიდან 2024 წლის 20 სექტემბრის ჩათვლით, მატერიალურად (მის: ქ. თბილისი, ნ. რამიშვილის №4, თბილისი, 0179), ან ელექტრონული ფორმით (ელ-ფოსტა: info@sakpatenti.org.ge).

დამტკიცებულია ინტელექტუალური საკუთრების მფლობელთა ასოციაცია „IPOA"-ს
უფლებამფლობელთა საბჭოს მიერ
ძალაშია 2024 წლის 05 იანვრიდან
რედაქტირებული 01.08.2024

ტარიფები
ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისთვის ნაწარმოების რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების მწარმოებლებისა და იმპორტიორებისთვის, მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების სახეობების, მათი შესაბამისი კოდების და ჰონორარის ოდენობის შესახებ

- ფიზიკურ პირთა მიერ ნაწარმოების პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას გამოსაყენებელი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების მწარმოებლების და იმპორტიორებისთვის, მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების სახეობ(ებ)ი და შესაბამისი კოდები: ჰონორარის გადახდას ექვემდებარება მხოლოდ ისეთი მოწყობილობებისა და მატერიალური მატარებლების წარმოება და იმპორტი, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ფიზიკურ პირთა მიერ აუდიოვიზუალური ნაწარმოების ან ფონოგრამაზე ჩაწერილი ნაწარმოების პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას, ასევე, პირადი სარგებლობისათვის ფონოგრამის ან ვიდეოგრამის რეპროდუცირებისას, საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე.

საქონლის კოდი	საქონლის დასახელება
8471 30 000 00	პორტატული ან პლანშეტური კომპიუტერი
8471 41 000 09	კომპიუტერის პროცესორი
8471 49 000 09	კომპიუტერის პროცესორი
8471 50 000 09	მინი კომპიუტერი
8519 81 000 00;	მაგნიტოფონი
8519 81 000 00; 8527 12 000 00	ჯიბის კასეტური მაგნიტოფონი
8519 81 000 00 8519 81 250 00 8527 91 990 00	ა/მ მაგნიტოფონი
8521 10 950 00	ვიდეომაგნიტოფონი
8521 90 000 00	DVD მაგნიტოფონი
8525 81 000 00; 8525 82 000 00; 8525 83 000 00; 8525 89 000 00; 8525 80 990 00;	ჩამწერი კამერები, ვიდეოკამერები
8471 70 980 00 8523 51 100 00	ფლეშ მეხსიერების ბარათი
8523 51 900 00	ფლეშ მეხსიერების ბარათი ნ.გ
8523 29 900 00	ჩამწერი კასეტა
8519 89 000 00	ფირსაკრავი
8523 80 100 00; 8523 80 900 00	ვინილის ფირფიტა

8517 13 000 00; 8517 14 000 00 8517 12 000 00	მობილური ტელეფონი
8471 70 500 00 8471 70 200 00	მყარი დისკი
8471 30 000 00	პლანშეტი
9201; 9202; 9205; 9206; 9207; 9208; 9209 99 400 00	მუსიკალური ინსტრუმენტები
8542 32 900 00	დამმახსომებელი მოწყობილობა
8523 41 100 00; 8223 41 900 00; 8523 49 200 00	CD დისკი
8523 41 300 00; 8523 41 900 00; 8523 49 100 00	DVD დისკი
8519 81 000 00; 8527 91 000 00; 8527 99 000 00; 8519 81 250 00; 8519 89 000 00	მუსიკალური ცენტრი
8519 89 000 00; 8527 91 990 00	რადიო
8523 80 900 00	გრამ ფირფიტა
8519 89 000 00	mp3 ფლეერი
8518 40 000 09	ხმის გამაძლიერებელი
8517 62 000 00; 9102 12 000 00; 8517 13 000 00; 8517 14 000 00	ჭკვიანი მაჯის საათი
9503 00 210 00; 9503 00 410 00; 9503 00 490 00; 9503 00 550 00; 9503 00 700 00; 9503 00 950 00; 9503 00 990 00	სათამაშო მუსიკალური ინსტრუმენტები: პიანინო თოჯინა და ა.შ
8527 91 990 00	Mp3
8518 30 000 09; 8517 62 000 00; 8518 30 950 00	საყურისები
8528 72	ტელევიზორი

შენიშვნა: საქონლის კოდ(ებ)ი არის საინფორმაციო სახის დამხმარე საშუალება და საქონლის დასახელებ(ებ)ის განსაზღვრისას მნიშვნელობა არ ენიჭება. შესაბამისად, იმპორტიორი ვალდებულია იხელმძღვანელოს საქონლის დასახელებ(ებ)ით.

- ფიზიკურ პირთა მიერ ნაწარმოების პირადი სარგებლობისთვის რეპროდუცირებისას, მწარმოებლებისა და იმპორტიორების მიერ გადასახდელი ჰონორარის ოდენობა შეადგენს მოწყობილობის და მატერიალური მატარებლის ღირებულების 6% (ექვსი) პროცენტს.

ტარიფი ფიზიკურ პირთა მიერ პირადი სარგებლობისთვის ნაწარმოების რეპროდუცირებისას (პროცენტში %)		
მწარმოებელი	წარმოების თვითღირებულებიდან	6%
იმპორტიორი	საბაჟო ღირებულებიდან	6%

- ტარიფები შეიცავს დღგ-ს.